შემოსავლების სამსახური

# საბაჟო დეპარტამენტი

# ბრძანება N 3907

13/02/2015

## ი/მ "ალექსანდრე ტამოიანი"-ს (ს/ნ 01005015915 ) გადასახადების დარიცხვისა და სანქციის შეფარდების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციის 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრაძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების" (დანართი №12) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების 2015 წლის 10 თებერვლის № ა 6-21-10 შუალედური აქტის საფუძველზე, ი/მ ალექსანდრე ტამოიანს :

ა) ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხოს ძირითადი გადასახადი დღგ – **8477** ლარი, ძირითადი გადასახადი იმპორტის გადასახადი **– 47058** ლარი;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით შეეფარდოს ჯარიმა – **46758** ლარი;

2. დასარიცხი გადასახდელები ი/მ „ალექსანდრე ტამოიანი"-ს პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახოს საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების № ა 6-21-10 შუალედურ აქტში მითითებული სახეებისა და ვადების მიხედვით;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში – წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის შემოსავლების სამსახურში (მის: ქ.თბილისი, ვ. გორგასალის ქ. №16 ან ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №5) წარდგენის გზით. აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6 ან ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

დანართი №I-09

# შემოსავლების სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გორგასლის 16
(საგადასახადო ორგანოს მისამართი)

## საგადასახადო მოთხოვნა№ 002-20

| 13 | თებერვალი | 2015 |
|---|---|---|
| რიცხვი | თვე | წელი |

გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის რეკვიზიტები

ალექსანდრე ტამოიანი
(გვარი,სახელი/დასახელება)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი 01005015915

მისამართი დიდუბე-ჩუღურეთი / აგლაძის ქ. კორ. 39"ბ", ბ. 43

საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ბრძანება N3907, თარიღი 13.02.2015
(მიუთითეთ საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა,რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის დარიცხვა)

გადასახდელად დაგერიცხათ:

| გადასახადის დასახელება | გადასახადის ძირითადი | ჯარიმა | საურავი | სულ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| დღგ | 8477 | 0 | 3716.11 | 12193.11 | |
| საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 6.55 | 6.55 | |
| სხვა ჯარიმები | 0 | 46758 | 0 | 46758 | |
| იმპორტის გადასახადი | 47058 | 0 | 20436.97 | 67494.97 | |
| სულ | 55535 | 46758 | 24159.63 | 126452.63 | |

აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში. საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება თქვენ მიერ საგადასახადო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან.

საგადასახადო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლებით.

საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით. აგრეთვე, სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების
სამმართველოს უფროსი

დავით ბარამიძე

CUSTOMS DEPARTMENT

111262.2